ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1270615

ნომერი: AR1217258

თარიღი : 05.05.2014

გაცემის თარიღი : 15.05.2014

გაცნობის თარიღი : 21.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბროსე , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესარიონ კალანდაძე პ/ნ 01019007977
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 35 ბ. 2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

არქიტექტურის სამსახურის 20.05.2013 წ. №689253 და 16.06.2012 წ. №724947 ბრძანებებში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ
ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში – არქიტექტურის სამსახური) 05.05.2014 წ. №AR1217258 ელექტრონული განაცხადით მომართა ბესარიონ კალანდაძემ და მოითხოვა არქიტექტურის

სამსახურის 20.05.2013 წ. №689253 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
არქიტექტურის სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა შემდეგი:
არქიტექტურის სამსახურის 20.05.2013 წ. №689253 ბრძანებით შეთანხმებული იქნა ქ. თბილისში, სექტორი მთაწმინდა, ბროსეს ქ. №2–ში, სს „აიდეკო“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, ხოლო 17.06.2013 წ. №724947 ბრძანებით გაცემული იქნა აღნიშნული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ნებართვა.
05.05.2014 წ. №AR1217258 განცხადებიდან ირკვევა, რომ ბესარიონ კალანდაძის მოთხოვნას წარმოადგენს 20.05.2013 წ. №689253 ბრძანებაში კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ნაცვლად რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების დაფიქსირება. აღსანიშნავია, რომ 13.05.2013 წ. №1130926 განცხადება, რომლის საფუძველზეც გამოცემული იქნა არქიტექტურის სამსახურის 20.05.2013 წ. №689253 ბრძანება, არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე ატვირთულია რეკონსტრუქციის ნომენკლატურაში და განცხადებით მოთხოვნილია რეკონსტრუქციის პროექტის შეთანხმება. ამასთან, არქიტექტურის სამსახურის 20.05.2013 წ. №689253 ბრძანების გამოცემის მომენტისთვის, ქ. თბილისში, სექტორი მთაწმინდა, ბროსეს ქ. №2–ში მდებარე საცხოვრებელი კომპლექსი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 01.06.2012 წ. №ბ–07/69843–16 ბრძანების საფუძველზე მიღებული იყო ექსპლუატაციაში, როგორც მშენებლობადამთავრებული ობიექტი.
ზემოაღნიშნული გარემოებებით დგინდება, რომ არქიტექტურის სამსახურის მიერ 20.05.2013 წ. №689253 ბრძანებაში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა და ბრძანებით, ნაცვლად რეკონსტრუქციის არქიტეტურული პროექტისა, შეთანხმებული იქნა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. იგივე შეცდომა იქნა დაშვებული არქიტექტურის სამსახურის 16.06.2012 წ. №724947 ბრძანებაშიც, რომლითაც გაცემული იქნა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, არქიტეტურის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 20.05.2013 წ. №689253 და 16.06.2012 წ. №724947 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა არქიტექტურის სამსახურის 20.05.2013 წ. №689253 და 16.06.2012 წ. №724947 ბრძანებებში და „კორექტირებული არქიტექტურული პროექტი“–ს ნაცვლად მითითებული იქნას „რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი“.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას არქიტექტურის სამსახურის 20.05.2013 წ. №689253 და 16.06.2012 წ. №724947 ბრძანებებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.